

№ 17

წლიურად 5 მ., ნაივარ წლით 3 მ., ყველა
კენტი ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქაბა,
დრ. სახ. კანტორაში და „სორიანი“-ს
სტამბაში. მისამართი: ტიფლისი, გრუზინსკი
თეატრი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოს.
იმედაშვილი

ხელ-მოწერვები წერილები არ დაიბეჭდუ-
ბა. — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-
წავადება. — რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კან-
ტორაში — დღით 9 — 2 ს., საღამოთი
6 — 8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95,
სტამბისა — 15-41.

№ 17

კ ვ ი ბ ა, 29 ი ბ ე ი ს ი

1914 წ.

29 ი ბ ე ი ს ი.

ძველი და ახალი უკვე დაიდო საზღვარი ძველსა და ახალს შორის. ეს საზღვარია სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე, სხვათა შორის, აღინიშნა ის მოვლენა, რომ ჩვენს სცენაზე დღემდე მთლიანობა ძნელი სახილველი იყო, — ჰენდ-დავით პირველხარისხოვან მსახიობს, ნიქიტარად მოთამაშეს, მაგრამ წარმოდგენის ერთსულოვანობას კი — იშვიათად. აქ ბატონობდნენ პირველი როლების მოთამაშენი და ანგარიშსაც მათ უწევდნენ.

ეს შემცდარი შეხედულება დაჰკმო ყრილობამ და ამ გვარად ჰქრება პრემიერების ხანა, იწყება ახალი, საერთო ძაღლონი შემოქმედების ხანა, და ის დასი, ვინც ადრე დადგება ამ გზას, უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს ჩვენს თეატრს.

თანდათან ირკვევა ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის დასთა შემადგენლობა: ქუთაისის დასში უმთავრესად პირველ ხარისხის ხანა და მსახურებულნი იკრიბებიან, ბათუმსა და ქიათურაში, თუმცა ახალგაზღვანი სქარბობენ, მაგრამ ძნელია ითქვას ხელოვნებაში რა გზას დადგებიან — სცენაზე ანსამბლის შექმნას შესწირავენ თვის პატრემოყვარობას, თუ როლებს გამოეყიდეებიან; ბაქოს დასის შემადგენლობა ჯერჯეროვით გამოარკვეული არ არის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბაქოს დასს ახალი ტიპის რეჟისორი ჰყავს მიწვეული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ უფრო ანსამბლის მიმდინარეობა გაიზარდებს. თბილისის დასი უმთავრესად ნორჩი ძაღლებისაგან სდგება: რეჟისორნი ახალი სკოლის მიმდე-

ვარნი არიან და მსახიობთა უმრავლესობაც ისეთია, რომ თითოეული მათგანი რეჟისორის ნება-სურვილისამებრ ადვილად მოიქნება.

ჩვენ დღემდე სცენაზე ამა თუ იმ პიესის წარმოდგენის დროს ვხედავდით თითოეულ შესანიშნავ მსახიობს, უმეტესად ამ პირველ-მთავარ ჰქონდათ ხოლმე შებოქვლილი ჩვენს ყურადღება; პიესის დღეა აზრი, ავტორის იდეის მთლიანობა-კი სადღაც იყო მიკუნქული; სალიანგო ადგილებზე — მასსიურ სცენებზე — ლაპარაკიც ხომ მეტია: ვერ იქნა და ვენს სცენებზე ბრბო, მასსიური მეტყველება ვერ განსახიერდა სრულის სინამდვილით: „პირველხარისხოვანი“ მსახიობი რომ ერთის წუთით ადგიტაცებდა თვის ხელოვნებით, იქვე რომელიმე მოუხეშავი „მორე-მესამე“ ხარისხის ხანა, ანუ „მასსა“ ისეთი ვაქცავებული იერით გამოგზავნავდა, რომ აღფრთოვანებულ სულზე ცივ წყალს გადაგავლებდა. საზოგადოებრივ-ესთეტიურ გემოვნების განვითარება ამ უკვე მოითხოვა — დღემდე თუ მხოლოდ თითოეულ მსახიობთა განკერძოებულ ხელოვნებას გვიჩვენებდით, ახლა პიესის მთლიანობა — ერთსულოვნება გვიჩვენეთო...

აი, ამ გარემოებას უნდა მიაქცონ მთელი თვისი ყურადღება ჩვენებურმა დასებმა, ისე კი რომ მთლიანობის — ანსამბლის უკან დევნაში მსახიობთა შორის სამართლიანობის სასწორი არ გადაიხარ-გადმოიხაროს.

მომავალ სეზონში ქუთაისში თუ განსაკუთრებით დამსახურებულნი მსახიობნი იმუშავებენ და თავისი მრავალწლიანი გამოცდილებით მკვიდრ საძირკველს ჩაუყრან დასავლეთ საქართველოში სათეატრო ხელოვნებას, თბილისში სამავიგროდ სრულიად ახალგაზდა

საქართველო

დასრ—ახალი ძალებისაგან შემდგარი—დაწყებს მუშაობას რომ ხელოვნებაში ახალ მიმართულებას ბინა დაუშკვიდროს. თბილისის სცენის მორგის საიტიზია გ. ბედვით შეუდგეს მხატვრულ-ხელოვნურ თეატრის შექმნას სრულის ანსამბლის შემოტანით. ამისათვის არ უნდა დაზოგონ არცა ნივთიერი და არც სულიერა ძალონი, როგორც მსახიობ-რეჟისორთ, აგრეთვე გამგეობამ. მხოლოდ ახალი კვალის გამკლებს მოელის დაფნის გვირგვინი...

გემოვან ვითარებული მაყურებელი გამრავლდა, მას სწყურია ხელოვნების ასეთი ტმარჩი და მაშ ნულარ აყოენებთ, — შეუქმენით!



ჩვენს ზრდა

სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობის მიმართ წარმოთქმული სიტყვა 8 ივნისს.

ბატონებო! დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა არა მარტო ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, არამედ მთელ ჩვენს საზოგადოებაში განვითარების ისტორიაში: იგი მოასწავებს ჩვენს ზრდასა და გაძლიერებას.

ქეშმარიტად დიდი და სასოწარკვეთილი უმადურობა იქნება ისტორიის წინაშე, რომ უარყვით ქართველ ერის კულტურული ზრდა-ამაღლება უკანსკელ 20 - 25 წლის განმავლობაში. რომელი მხარე გინდათ აიღოთ, ყველგან უნდა ვაღიაროთ ზრდისა და განვითარების ფაქტი. პრესსა, მუსიკა, თეატრი!.. ბევრს თქვენგანს ახსოვს, ბევრმა ისეც იცის, რა მდგომარეობაში იყო ამ 20-25 წლის წინა დეს მხარე ჩვენის სულიერის კულტურისა. პრესას წარმოადგენდა ორი ჰერიოდული გა-მოცემა, რომელთაც ორი ათასი მკითხველი ძლივს ჰყავდა; ახლა ჩვენა გვაქვს ოცამდე გამოცემა, რომელთაც რამდენიმე ათას-ათასი მკითხველი ჰყავს; მუსიკა-სიმღერის საქმე ის იყო ფეხს იდგამდა. იმ დროს ამ საქმის მოღვაწე მხოლოდ ერთი თავგანწირული ლაღო აღნიშვილი იყო, რომელმაც შეადგინა მომღერალთა გუნდი და ეს ერთად-ერთი გუნდი მთელს საქართველოში მღეროდა უკამპანიმენტოდ და დაუმუშავებელ ხალხურ სიმღერებს. მაშინ ამასაც აღტაცებაში მოჰყავდა

საზოგადოება. ეხლა-კი ჩვენა გვაქვს განსაკუთრებული საზოგადოება ფილარმონიული, რომელიც ამ საქმეს ემსახურება; ჩვენა გვყავს რამდენიმე ნიჭიერი და ნასწავლი კომპოზიტორი, რომელნიც ეროვნულ ჰანგებს ამუშავებენ, და ანივთარებენ; არა მარტო თბილისში, არამედ პროვინციებშიაც გვყავს დახელოებული გუნდები მომღერლებისა. შემდეგ, — გავიჩინდენ მხატვარნი, მოქანდაკენი... ხოლო თეატრის საქმეში, რომელიც დღეს აქ დამსწრეთ უფრო გვიანტერესებს, ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. ამ 20 წლის წინა დ არსებობდა მხოლოდ ერთი დასი — თბილისში, იშვიადად იმართებოდა წარმოდგენები ქუთაისში და შემთხვევით სხვა დაბა-ქალაქებში. ეხლა-კი მარტო თბილისში, დიდი თეატრისა და დასის გარდა, ოთხი სხვა დრამატიული ხელოვნების წრე მუშაობს თავ-თავიანთ დასებითა; არსებობს მუდმივი დასი ქუთაისში და სხვა დაბა-ქალაქებშიაც მუშაოენ სასცენო მოღვაწეთა წრეები. და ეს ზრდა არა მარტო რიცხვობითია, ეხლა რეპერტუარიც უკეთესია და გაიღლებით უფრო მხატვრულ-ხელოვნურ წარმოდგენებსაც ვიხილავთ ხოლმე...

ეს და მრავალი სხვა მაგალითი, რომელთა აღწერის დრო აქ არ არის, ამტკიცებენ საერთოდ ჩვენი ცხოვრების განვითარებასა და ვართულებას, რასაც მკიდრო კავშირი აქვს დიდ მოვლენასთან: იზრდება ჩვენი დემოკრატია და ამავე დროს იზრდება და ვითარდება ეროვნული თვითცნობიერება. ეს ორი დიად ფაქტორი ასაზრდოვებენ და ამაგრებენ ჩვენს კულტურას...

მაგრამ, ბატონებო, ეს ზრდა-განვითარება სრულებით იმას არ მოასწავებს, რომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია შევეყუროთ მომავალს. არა, ჩვენი მომავალი მინც ბურუსშია გახვეული, რადგან, რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო მეტი დაბრკოლება და საშიშრობა გველოდება წინ. ჩვენი ერი დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდის და ერთობ დიდი მუშაობა, სიფხიზლე და წინდახედული მოღვაწეობა გვჭირია, რათა ესძლიოთ და დავთურგნოთ ეს დაბრკოლებანი. ისტორიული მომენტი გვიკარნახებს ძალების შეერთებას და მიზანთშესაფერისს შეთანხმებას.



კოაპერაცია და კავშირი გვეპირია არა მარტო ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ პოლიტიკურს ბრძოლაში და საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობაშიაც. ეს კავშირები და ამათი საერთო კავშირი მოგვეცემენ ხელში მძლავრს იარაღს, რომლით საუკეთესო მომავლისაკენ გავიკაფავთ გზას...

ამ შეთანხმებისა და შეკავშირების თვალსაზრისით თუ შევხედავთ ჩვენს დღევანდელს ყრილობას, უნდა ვალიაოთ მისი დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჩვენი თეატრის საქმე, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეროვნულ და კულტურულ განვითარებისათვის, ერთობ გართულდა და გაძნელებდა. ის, რაც წინად ერთ ნიჭიერ ადამიანს შეეძლო ეკისრა და გვეკეთებია, დღეს მხოლოდ საერთო შეთანხმებითა და კავშირით ვაკეთებთ. ის დროც იყო, როცა ჩვენს თეატრს მეცენატებიც-კი ჰყავდა გაბატონებულთა წარმომადგენლებს შორის. მაგრამ, როცა დანახეს, რომ თეატრი და სხვა კულტურული დაწესებულება ჩვენს ხელში ეროვნულ გაღვიძებისა და წინსვლის იარაღათ გადაიქცა, წინ გადაგვედობენ და ხელს გვიშლიან. გავვიჩნდა ბევრი გარეშე მიზეზი და ამასთან საქმეც გართულდა და ამტომ შეიქმნა საკირო საერთო მოლაპარაკება, შეთანხმება და ვათვალისწინებთა ქართული თეატრის მდგომარეობისა.. შეიძლება, ამ პირველ ჩვენის ცდის პრაქტიკული შედეგი არ იქნეს თვალსაჩინო, დიდი შედეგი არ მოჰყვეს, მაგრამ მისი პრინციპიალური მნიშვნელობა მაინც დიდია, როგორც პირველის ნაბიჯისა. გილოცავთ რა ამ ნაბიჯის გადადგმას, ვიმედოვნებ კიდევ, რომ თქვენის მეცადინეობით ეს ნაბიჯი მაინც ნაყოფიერი და საგრძნობელი იქნება... პრაქტიკულადაც... მაშ, გაუმარჯოს თქვენს ღრევიანდელს მუშაობასა ჩვენი დიდი ეროვნული საქმისათვის!..

გ. ლახნიშვილი



ქარაული სცენის პირველი მსახიობქალნი

1) ელენე დიმიტრი ყიფიანის ასული, მეუღლე ანტონ ლორთქიფანიძისა, 2) მარიამ ივანე ყიფიანის ასული, მეუღლე დავით ქართველიშვილისა.
(აწ გარდაცვალბულნი. ორივენი სცენაზე გამოვიდნენ დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით 70-იან წლებში)

რა შექთვწირო?

რა შემოვწირო მსხვერპლად შენს საკურთხეველს?

სული ჩემი?

ის ცხოვრების ზღვაზე დაღუპულ გემის იალქნებს დაჰკენეს.

გული? უკვე დაიფერფლა მაქედურის სამსხვერპლოზე!

ნაზი, უმანკო პირველი კოცნა? იგი უკვე გახრწნილ ქალის ვნებით მონაშულ ტუჩებმა მომტაცა!..


იქნებ ჩემი სხეული გსურს დაიწვეს შენს სამსხვერპლოზე?

შემოგწირავდი! მაგრამ ვინ მომცემს ამის უფლებას?

ცხოვრების უღმობღლო კანონებმა ჩემი სხეული საზრდოთ მიუსაჯა მატლთა და ქვეწარმავალთ.

ვინ მომცემს, ვინ უფლებას! ცეცხლის კოცონზე დაიფერფლოს ჩემი სხეული!!!

მიხ. ბოჭორიშვილი



ფერიას ჯილდო

(გადმოკეთებული)

ერთხელ ბრწყინვალე ფერია ჩამოვშვა დედამიწაზე კეთილ განძრახვით, რათა გაენაწილებინა სხვადასხვა მადლი ახალგაზდა გაუთხოვარ ქალთა შორის. მასთან მყოფმა პითაქმა ჩაპხურა ბუქს და ფერიას წინ წარუდგინა ახალგაზდა ქალნი, თითო ყოველი ერისაგან.

გულუბრემა ფერიამ უთხრა მათ: — მე ვცუდები, არც ერთი თქვენგანი ჩემის საჩუქარი

არ დარჩეს გულნაკლული. თითო თქვენგანი მიიღებს სხვადასხვა ნაირ ჯილდოს, რადგანაც მე არ ძალმიძს მოგცეთ ყველას ერთი და იგივე; ესეც რომ არ იყოს, არც თქვენთვის იქნებოდა სასაზოგადოებო ერთგვარობა.


ფერიამ დაიწყო განაწილება: კასტილიის მცხოვრებ ქალს მისცა გრძელი და შავი თმა; იტალიელს — მწველი თვალები; ინგლისელს — კეთილგონიერება; პარიზელს — ვარდის ფერი სახე პირისა; ავსტრიელს — თოვლივით თეთრი კბილები; გერმანელს — სენტიმენტალობა; რუსისა — წამოსაღებობა დედოფლისა. შემდეგ ფერიამ ეთაპოლიტანელ ქალს მიანიჭა სისხარული და მარჯნის ფერი სიწითლე ტუჩისა; ფლამანდიელისას — აზროვნება, და წასასვლელად მოემზადა.

— მე რაღას მომცემ? — იკითხა ქართველმა ქალიმა.

— ღმერთო ჩემო! ნუთუ თქვენ დამავიწყდით? — წარმოსთქვა ფერიამ. — საუბედუროდ მე აღარაფერი დამრჩა, მაგრამ არა უშავს: სთხოვე ამ ახალგაზღვა ქალებს და, მიგონი, არც ერთი მათგანი არ დაგიშურებს. ცოტაოდნის ჩემის საჩუქრისაგან.

ამ სიტყვაზე ყველა ქალი მიუახლოვდა ქართველ ქალს და უბოძა: ერთმა თმის ნასთი, მეორემ — სახის ფერი, მესამემ სისხარული, მეოთხემ აზროვნება, მეხუთემ სითეთრე კბილისა. ერთი სიტყვით მან იმდენი საჩუქარი მიიღო, რომ საწყალი დავიწყებული ქართველი ქალი ყოველფერით ყველაზე მდიდარი და ლამაზი შეიქმნა. **პ. ბოკერია**

საშობლო ქვეყნის მოღვაწენი



ივანე მაჩაბელი

დღნი ზნობეუბანი განსაკუთრებით მითა არიან დიადნი, რომ რამდენადაც დროყმით გეშორდებიან იმდენად ბუმბერაზდებიან ჩვენს თვალში...

სწორედ ისეთი ზნობეუბან ივ. მაჩაბელი... არის მეთქი, ვაშობ იმიტომ, რომ დღესაც კი, თუქსმეტო წლის თავს, რეგინად არ ვიცით — შეგარია თუ ცოცხალი ეს მრავალგვარად მოსილი ქართველი, ევროპულ სწავლა-ცოდნით გონებაცაშუქებული მტკიცე მამულიშვილი, მუღამ ფსიხელი მოასრუ და დაუდგომელი მშრომელი მშობელი ერის საკეთილდღეოდ, — 18⁸⁸ წ. 26 ივნისს ნაშუადღევს შუათსე საათსე სსხლიდატავიდა და განქრ. — ცამ ჩაქვდაზა თუ დედამეწამ — დღესაც ძე ხობრეილმა არ იცის...

ივ. მაჩაბელი ქართველი იყო, დააბადა სოფ. თამარაშენში; ზეტერბურგის უმაღლეს სსსწავლებელში გურსის (საბუქებისმეტყველო ნაწილზე) დამთავრების შემდეგ საზღვარგარედ გაემგზავრა და ზეტერბურგის აკადემიაში შევიდა, სადაც სსსოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი შეისწავლა; აქედან საფრანგეთს გაემგზავრა მედიცინების შესასწავლად და 1879 წ. ზეტერბურგს დაბრუნდა აქ იტ. ჭავჭავაძესთან ერთად სთარგმნა „მეფე ლიონ“ შექსპირისა. საშობლოში დაბრუნებული მსახურებდა სთ. აზნ. სკოლის ინსპექტორად, თბ. სად. მამ. ბანკის კასირად, დათვასებულ კომისიის წევრად, ბანკის გამგებების წევრად. ამავე დროს იგი მწერლობის მსურაველ მონაწილეობას იღებდა: 80-იან წლებში უურ „ივერისა“ წარმოებდა, შემდეგ ს. მესხისგან „დროება“ შეიძინა და ამ გაზეთის სტუმარ საკუთარის რედაქტორობთ, სანამ მართებლობამ არ დაკურსა. 90-იან წლებმა ბანკის საქმების გამო უთანხმოება მოუხდა მეორე დიდ ქართველთან — დიად ჭავჭავაძესთან, ბანკს განქმორდა და გარანს სინდიკატის საეკე მოაწყო.

რომელ საქმეშიც კი იყო, უველგან დიდის მუყათობით მუშაობდა. ამ მხრით ნამდვილი მუღამ ცამრჯე ინტლისელი იყო, ინვლასურთან დაზის — „დრო ფულითა“ — ს თანახმად მოქმედი. ამ მხრით არ ჭავჭავაძე მცონარა თანამემამულეთა უმრავლესობას: დროს დიადი იფასებდა



და კვირაში მხოლოდ ორი სელაში ჰქონდა დანიშნული, — ერთი ორშაბათი მახლობელთა მიხედვად, მეორე — შარასკევი — სელიტერატურის სპეციალურად სავითხოვო შესახებ სავაშთად, დანარჩენ დროს კი, თუ სამსახურში არ იყო, ან კაიხულობდა, ან სწორდა, — სამშობლოს გათვითნობაებების სელაროს ამდიდრებდა.

ივანე მახაბელი 80-90-იან წლების ინტელიგენციის სუკუთესო წარმომადგენელია, სწორ-უშვავარი ინტელიგენტი — გაეგება-ნათელი, სულით მაღალი, ნამდვილი ჯენტლმენი, ფრად სთავაღინთ მოღვაწე, მაგრამ უკუდევება და მშობელი ერთ მადლობას შექსხიარის ნაწარმებთა თარგმანებით დამისახურა!

დაიღ, თარგმანებ თ!

საკუთრე სთარგუნა შექსხიარის ათამდე ზიეს.


ამ თარგმანთ გამარჯვებულადეს ქართული ენამტეუგებება, გამდიდრეს გამთამქმებთ, მამაქქნეს და გააღამასეს. ეს თარგმანები სკოლებში მადებული უნდა იყოს არა მხოლოდ იმის სასელქმდენად, თუ როგორ ითარგმნებოდეს უცხოურადინ, არამედ ქართული ენის შესასწავლადია ..

დამაინის სულისა და გულის დიდებულ მსოფლიო მესაიდუმლეს — შექსხიარს დიდებული ქართული გამომთქმელი შესვდა, — და ეს ჩვენი ვანო მახაბელია!

დადისანი მისი თარგმანნი მადლიან გამომთქმელს ელოდენ და სხვა, როგორც მათხველები განხვადებდნ შეიტყობენ, მის მეუღლეს — ენ. ანატრასია ალექს. მახაბლისს განუ-

ზრასავს ერთ წიხნად გამოსცეს. ეს ფრად დიდა დამსახურება იქნება როგორც თვით ვანო მახაბლის, აგრეთვე ქართველი ხალხის წინაშე და იმედას საზოგადოებაც ხელს შეეწეობს ნატეგეშულ ენ. ანატრასიას, რომ ეს კეთილი განზრახვა მადე საქედ აქცეოს.

ვ. ლორთქიფანიძე



ვ. ლორთქიფანიძე

27 ივნისს შესულა 5 წ., რაც გარდაიცვალა ვ. ლორთქიფანიძე, ცნობილი მოღვაწე-მწიგნობარი, არ. ჯორჯაძისა და მისი წრის ერთი საუკეთესო ამანავ-თანამშრომელი იყო. დიდი მონაწილეობა მიიღო ახალი „ცნობის ფურცლის“ შექმნა-წარმოებაში 1901

წლიდან მის დახურვამდე და შემდეგ მის მომადევნო გამოცემებში. ჟურნალ „მომავსა“ და გაზეთებში მრავალი ნარკვევ-წერილი აქვს მოთავსებული. ფრანგულიდან სთარგმნა „რომის ისტორია“, „საბერძნეთის ისტორია“, „საფრანგეთის დიდი რევოლუცია“, „ჩარლზ პარელი“ და სხ. ცნობილი იყო აგრეთვე ვითარცა პრაქტიკული მუშაკი და მისი უღროვო სიკვდილით არჩილ ჯორჯაძის ბანაკს ფრიად სასარგებლო მოღვაწე გამოაკლდა, რასაც მისი თანამოაზრენი აღბად დღეს უფრო მწვავედ ჰგრძობენ.

ი ი

შორს..

(ნ. მუვილის)

შენ შორს მიღინხარ, ჩემო იმედო; ოპრა ძნელია ეს განშორება!.. რა ჩქარა განვლო დრომ, დრომ სანეტარომ! აწ მოგონებად შეიცვლება წუთნი ნეტარნი .. მიღინხარ, მაგრამ მე საიდუმლო შენდა მიმართ, მიმტევერ გამტევი... — აღარ ძალმიძდა ..

გულგატეხილი, რწმენა დაკარგული დავდივარ. ახლა სული ჰგრძნობს სრულ გაკოტრებას, მას აღარ ჰხიბლავს დღეს არაფერი. .. შენს განშორებას თან მიმტევიბა მთელი ჩემი ნეტარება, ნეტარება ამ ქვეყნიურთ .. დღეიდან ჩემი წმინდა მისწრაფებანი დამიწებასხლა

მიეცემიან... აღარ მწამს „მრწამსი“... განშორების ჟამს თვლიც ვერ მოგვარ, დავინახე მხოლოდ მიჰქორდა დამის სივრცეში მატარებელი და აღბად შენც თან მიგაქორლებდა ..

უმზერდი დიდხანს თვალტრემლიანი, სანამ მატარებელი მთლად არ მიიძალა და მისი „ოზვრის“ ხმა არ მოისმა შორიდან... ვუმზერდი მხოლოდ. განა მეტს რას ვაგაწყობდი? ..

დღეიდან შევიყვარე თვით თი თვთრი ზილალი სახლი. ხშირად საღამოობით ჩავივლი ხოლმე, იმ ქუჩაზე, მაგრამ ვსტყუევდები, იქ აღარა ხარ .. მშვიდობით, ჩემო იმედო! .. ნუ თუ საშუალოდ... ტურფა საშობლოს არ ვიბხენებ? ..

ი. ვიხიიშელი

ქართული სახიობა

„**316 არის დამნაშავე**“ პიესა
4 მ. და 5 ს. ნინო ნაკაშიძის.

„შალვა დადიანმა თავისი სიტყვა გვასმინა, მაგრამ სიტყვაზე უფრო ცხოვრად გვიჩვენა თავისი ქართული სამსახიობო უნარი და ნიჭი.“

ქართული მელპომენის ტაძარი დიდი ხანია ასე მაღლიანად არ ამტყველებულა, როგორც 15 ივნისს..

პიესა სადა, მეტად მარტივი, ერთის შეხედვით უბრალო, მაგრამ იმავე დროს ღრმა, ბევრ მწვეფე ფიქრთა აღმძვრელი, ნამდვილი ირევანულ-ხალხოსნური (და არა ნაციონალისტური), ნაწარმოები გამოდგა.

დაახლოებით ასეთი ხალხოსნური პიესით გაახილა თვლი მებრძამეტე საუთნის ხანებოში ქართულმა სახიობამ (გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის შემოქმედებანი), ასეთივე რეპერტუარი შექმნა 80-იან წლების დრამატურგიამ (ავ. ცაგარელი და გ. სუნდუკიანი) და აქი ამიტომაც იყო, რომ როგორც პირველად, ისე მეორედ ქართულმა სცენამ იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ასეთივე ნიშნები მოგვცა ი. გედევანიშვილის „მხეგრბობა“ და ამ ბოლო ხანებში ქან ნინო ნაკაშიძის პიესამ „ვინ არის დამნაშავე“

პიესის შინაარსის მოთხრობით აღარ შევაწყენთ თავს მკი: ზველს, რადგან იგი უკვე დაბეჭდილია („გორველი“, წიგნი II- 1912 წ.) და ყველას შეუძლიან წაიკითხოს, ვიტყვით მხოლოდ, რომ პიესაში აღწერილი ხატებანი სრულის სისწორით არიან დახასიათებულნი.

პიესის ნაკლი, ჩვენის აზრით, ისაა, რომ დაწერილია გურული გამოთქმით,—მართალია მომქმედი პირნი გურულები არიან, მაგრამ მის გამო მთელი პიესა რომ ასეთი მიმოხვრით იწერებოდეს, რაიცა ქართველ ხალხის უმრავლესობას მის გაგებას გაუჭირვებს.—ვისთვის რა საჭიროა? შეუფერებელი, პსინოლოგიურად შემედარია ის სცენა, ფატი ბაბუას სიკვდილის უმაღლე რომ გაჰყვება არსენს,—სხვა არა იყოს რა, ახალად მიცვალებულის (რომელიც მუდამ ფატის წინობრივი დარაჯი იყო) წინაშე კრძალულება ნებას არ მისცემდა ასე საწარწინად გასცლოდა ჯერ კიდევ გაუცემებელ ცხედარს... გაქიანუბებული და ზედმეტა მტანზე მოქმედების ბოლო სცენა—სალომეს და ივანეს შუპოსლა: არსენას პიროვნება ისედაც გამორკვეულდახასიათებულია. ეს ზემორე ჩამოთვლილი ნაკლი რა ჩამოეკლავს პიესას, დარწმუნებული ვართ, იგი სახალხო თეატრის რეპერტუარში სათვალჩინო ადგილს დაიჭერს...

„შალვა დადიანის დასის თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა,—ერთსულოვანობა, სისადავე, სიწრფეველ, სიმარტივე, გონიერებასთან შეთანხმებული ზომიერება,—აი რითი ხასიათდება პირი სასცენო ხელოვნება. ერთი მთავარი მომქმედი პირი, პირველი არტისტი აქ არა სხანდა,—მთელ წარმოდგენაში მხოლოდ პიესის სული იყო გაპიროვნებული, რომლის ნიჭიერი გამსახიერებელი იყენენ: შალვა დადიანი (სიკა)—დინჯი, სიმამრ დაკვირვებული, სადა ხატება, ყოველივე წერილობანის გამთვალისწინებელი.—სიკა (შალვა დადიანი) კალამს იღებს ხელმოსაწერად, მაგრამ უტებ კი არ აწერს ხელს, როგორც ამას ყველა ჩვეულებრივი მსახიობი იხამდა,—აია! გლობის ოჯახსა საწერ-კალამი მოძველებულია, კალამი უხეროა, ვერ სწერს.—შ. დადიანი კალამს მუხლის თავზე გადისკვამს, გამოუტედი ხელით აწერს ხელს და ამ ერთის ხელმოსამი ვაჩვენებთ მთელ პიროვნებას გლვხ სიკასს. წუხილს, ნალვლს, გაჯავრებას, შფოთს ყვიროსი კი არ გადმოგვცემს, რომ თეატრი შეზანზარდეს,—აია! იგი ყოველივე დღემთი შიგნი-შიგან განიცდის და მაყურებელსაც აგონიხობინებს თვის სულიერ ნალვლსა თუ სიკასს...“

ქანი ლოდობრივ (სალიხე) ტიპიური, თავიოფეხამევი სინამდელით განხორციელებული ხატებაა, მიხვრა-მოხვრით, გამოთქმით, ჩაქმულობით, გრიმით სრულქმნილი,—მთელი პიესის აზრით გასულდებულეული...
ქანი ელი ანდრონიკაშვილი (ფატი), გურული ქალის სახე, ოლა ლევევა (სოფო), მიჯნურისგან შეუწყნარებელი, რომელიც თვის სულიერ დრამას დემილით უფრო ვამოტეკვება, პლ. კორიშვილი (ბაბუა), ეს ლფთაბრივი საუტეობი უკიდურეს წერილობანამდე ეკან-მოიგრი მოხუცი, ბანი მურუსიძე (არსენი), გამოხედვით, ხმით, გამოთქმით, ყოველი ნაბიჯით სრულქმნილი, ერთი მეორეს კივებოდენ რაღვების შეგნებითი აღსრულებით პიესის განსახიერებაში და აქი მიზანჯც მიპირებს.

მხატვრულის მხრით პიეს შენამებულის უღვერით იყო დადგმული. წარმოდგენის ხელმოღ დიდი საზოგადოება დაესწრო. სასურველია ეს პიესა „სახალხო სახლში“ დაიდგას...
ზ.ოკოსანი

ქართული მჭერმეტეველები

„**სიმახინჯამ, კოგოტო სხამ მხ-ჩიქ-ჩ ს. ქაბორალის— დღმავნდღამდის**“, ვ. კოტეტიშვილის ლექცია.

ამ ბოლო ხანებში ქართულმა ლექტორებმა იმდენად იმეტეს, რომ გზა ვერატი-კი აგოტევიან: ვინ არ გინდათ და რაზე არ გინდათ, ლექციას არ კიხიულობდეს. მაგრამ ახალგაზდა ლექტორი ვ. კოტეტიშვილი მათგანი არ არის. მშობლიურ ნიადაგზე აღზრდილ-გაწრთვილი, ნამდვილ ქართულად მოაზრ-მეტეველი, ვინაა ვ. კოტეტიშვილი და ეს ნათლად დამტკიცა თვისი ნიჭიერი შედგენილი, ხემორე ამოწერილი სათაურის ლექციით, რომელიც გასულ კვირას მუსიკალურ საზოგადოების დარბაზში წაიკითხა. ლექცია ფორად წინაარსიანი გამოდგა. ეტყობა ახალგაზდა ლექტორი ზედმიწევნით გასცნობია საშობლო ლიტერატურას, რომ ასე კარვად დახასიათა ჩვენი თანდათან გაცქმნა. იმდენი მასალა შეუგროვებია, გვარნა იმყოფებო. ლექციის შინაარს არ მოვიყვანთ, რადგან განზახებული გვაქვს მისი ბეჭდვა და ჩვენი მკითხველები თვით გაიცნობენ.

ლექციის შედარებით ნალვები ხალხი დაესწრო, უმთავრესად დემოკრატიული ნაწილი, რომელმაც ლექცია ხანგრძლივნი ტაშით დააჯილდოვა. სასურველია კ. კოტეტიშვილს გაიმეორებდეს ხალხისთვის. —ლი



ოცნების ტალღაზე

ზღვის ტალღათა ქაფის აკვანს ვერწეოდი ჩემთვის წყნარად,
 ხმა შემესმა საამური ჰაეროვან ვერცხლის ზარად.
 თმა-გიშერი გავიშალე, გული გავხსენ ტრფობის ქნარად,
 უცხო სტუმრის მისაღებად, ცისკრის ველის ნიავე-ქარად!
 ენ ხარ, ან სად? რას მანიჭებ ძველ ოცნების ქსელის ფასად?
 ხმაჟან შენმან სანუკვარმან მთლად გარდამქნა ტრფობის თასად.
 მთის მწვემსი ხარ? ნუ გეშინის! წამწამით ისრებს არ ცხცებ დასად,
 ტკბილ ნექტარით გავაბრუებ, ღმერთებს მიგვერი მათ მის მსგავსად!

* *

მაგრამ ავერ ცის იერზე გიმხერ ობოლს, ფერმიმკრთალსა,
 თითქოს ვარსკვლავთ ჩირაღდანი მიეცელოს განთიადსა.
 მანდ რას დგეხარ? მოვედ ახლოს, გულს ჩაგიკრავ ვით მშვიდ კრავსა,
 საგრძობლად დაგიჩრდილებ აფრად გაშლილ დალალ-კავსა!
 ჰხედავ, მხესა პირი ავწვი, ვტაცებ ცისკრად ცეცხლის ფრთასა,
 თვით მშვენება ფეხშიშველი შენს სამებრად მოველი მთასა.
 შენ, კაცთშორის უაღრესო, შენ გაკუთვნებ გულის ვარდსა,
 მზემან ჩემთან მოსვლად მოგცეს ეტლი თვისი მშვიდ ლაქვარდსა!

* *

ოჰ, ნორჩო ყრმავე, სევდ-ს წალკოტს ვჭკვრეტ აქედან ცეცხლის თვალით,
 შენს ლაწევებსა მორცხვობა რთავს ფერმკრთალ ვარდის ცრემლთა ნამით.
 მო, ჰე სიძევ, ძიძას მოგხსნი, სამოსს მოგქსოვ შენთვის ლალით;
 ნართვილ წამწამს შეგიმშრალებ დამშთავალ ბაგის მწველის ალით!
 ოჰ, ეგ კვნესა მომდინარე მეგ უბინო გულის ბალით
 ცრემლთა შხეფით რატომ ირწყვის ვერე ობლად, თითქოს მალვით?
 ოჰ, ნუ გარბი, მომეახლე, ნუ შეპყრობი ვერე კრძალვით,
 მე გასწავლი ტრფობის ზღვაზე ტურფა სრიალს ვარდთა ნავით!

* *

ოჰ, რარიგ მწყურს ახლო მყავდე სატრფიალოდ განაზებულს,
 გულთან თავი მოგეზიდოს საზმანებოდ განმზადებულს!
 ვიშ, რა სიზმრებს მოგივლენდი ნეტარებთა გაბრუებულს,
 გულსა ცემას შევეუწყვეტდი, ვნების ტალღით აღლევებულს.
 შორს ფრინველნი ზმანებისა შეგამაკობდნენ ვითა რჩეულს,
 ღმერთთა ზირონცხებულ მგოსანს ვადგიმლიდნენ ზეცის რვეულს,
 ნიავეც მყის მოგტაცებდა კვნესას, გულით აწოდებულს,
 ტუჩზე ღიმილს ვაგიშლიდი, ვნების წყაროს ამოვღებულს!

* *

მოვედ ყრმაო, ჯერ შენ კიდევ პატარა ხარ, ნუკრი ტყისა,
 შენ შეგფერის წალკოტობა, აღმასობა დილის ცვრისა!
 მარქვი, ყრმაო, შორს რად დგეხარ? ვინ ხარ, ანუ რამდენ წლისა?
 ბრძოლად იყავ, რომ შუბლს გიკოხს ეგ ვინა ვინი ნორჩ დაფნისა?
 ბედნიერო, ვისი ძე ხარ? რომელ ზეცის? რა ელ მზისა?
 ან ვინ არის დედაშენი, ფერიცა ალაზნისა,

„306 არის

ღამისა 3339-ში“

მონაწილენი 15

იენისა



ო.ლოლობერიძე



პ.კორიძე



მურუსიძე



ურუშაძე

ქართ. სცენის მიღვაწეთა

პირველ ყრილობის ეგვილიები



კიკა აბაშიძე

... თუ მძა ხარ, ქართულ წარ-
მოდგენაზე რეცენზია დამიწერე, გი-
ნახავს თუ არა —სულ ერთია...



გ. ლასნიშვილი

... ბედნიერი ვარ
და... მეტი რა მეტი-
მის!..



ა. კრიხიცი

... ბ-ბო მიმართულება კარგია,
პროექტები უკეთესი, „რუჩებს“ ხში
აღერი სჯობია, მარა მაინც ფული...


თუ შენს მსგავსად ცას ეკუთვნის, ღმერთი არის ღმერთებისა,
ნეტარება ნეტარების და კურთხევა კურთხევისა?!

შენ ნათლდები? გეწინიან, ყრმომ, ჩემი შეხვედრისა?
რატომ, გიჟო, შენ გაგათბობს ცეცხლი ჩემი შეხებისა!
შენს ღიმილში ჩემი ღიმი იქმნეს ერთი სახებისა,
ვით ქანდაკი იღუმალი ცათ სამეფოს მშვენებისა!
ივერიის მადლს უმკიხარ, შესადარი ღმერთებისა,
სევედის ყვავილს ნანა უთქვამს, ვით ქვითინი ვარღთ მთებისა!
ოჰ, მოვედი! მწაზხარ! მჯერა... მჯერა შენი მძლე ფრთებისა:
აპოლო ხარ, მუზათ სიძე, და მხედარი ღმერთებისა!

შენი მორცხვი თრთოლვა მასმენს, რომ გიყვარვარ თურმე შენცა,
მეც მიყვარხარ, ჩემო ტურფავ, მე სიამე, თრობა, შენცა!
მშვილნი თვალნი ჴმანკონი მოგაფრქვევენ რწმენის ცეცხლსა,
აფაცისკრებ ჩემთან ერთად, ვითა სხივი ვარდის ცრემლსა!
ათასთ შორის შენ ერთს გტოვებ, ვით ზეციერ ტკილ სიმებისა,
შეისმინე ჩემი აჯა, შეისმინე ჩემი კვნესა!
აერგ-ალაზნის პირად დავსხდეთ და ვუყუროთ ზღაპრის ღმერთსა,
თუ მხის ოქროს სხივთა ისრით როგორა რთავს ცელქ ეთერსა.

ზღვის ტალღათა ქაფის აკვანს ვერწე-ღი ჩემთვის წყარად,
ხმა მომესმა საამური ჰაეროვან ვერცხლის ზარად.
თმა-გიშერი ვაკეშაღე, გული გავხსენ ტრფობის ქნარად,
უცხო სტუმრის საცისკროვნოდ, მის ღიმილის ნიავ-ქარად.
ნუ მერიღვი, ჩემო კარგო, ნუ მერიღვი მორცხვი მარად,
შენი სახის ქანდაკს ვუშვებ ჩემ ოცნების ტალღის კარად.
ოჰ, მუზათა სიზმრის სიძევე, ნეტარი ხარ ღმერთთა დარად,
თვით მშვენება მშვენებისა და აპოლო ტრფობის ფარად!

დ. კახრაძე



შალვა დადიანი

...მადლობა—ჩემს მეტს ყველს...



გ. შალივაშვილი

...რაქუელი შაში! ჰმ... გემრიელ
შაგრამ... მაღლა ჰკიდრა...



სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

(შუაში ზის ყრილობის საპატიო თავმჯდომარე მსოფლიო მგოსანი ბაკაძე, მის ირგვლივ—პრეზიდიუმისა და დრამ. სახ. გამგეობის წევრნი, მწერალნი, მსახიობნი, სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხ.)

ჩვენი მუსიკოსნი



კომპოზიტორი

ნიკოლოზ სულხანიშვილი

კომპოზიტორ ნ. შ. სულხანიშვილს ფართე საზოგადოება უკვე იცნობს მისი შემოქმედებითა მუსიკალური ნაწი დაიწყო და დაიწყო არა მარტო ქართულმა, არამედ რუსულმა ბრესამაც ერთხმად. მის ნამდვილ ხალხურ, უტუყარ ნაწიას ზეგავლენით შექმნილ კომპოზიციების შესახებ: „დტანებული აზრი გამოსთქვა „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე ჩვენმა პეტროგრადულმა კომპოზიტორმა დ. ი. არაგვიელმა. მისმა პირველმა სწავროდ გამოსვლამ ვლ. მესხიშვილის იუბილეზე და შემდეგ ილია ჭავჭავაძის სადა ოზე ერთხმად მოაჯადოვა ქართველი საზოგადოება თვისის ნაწარმოებით რკუთხური დეკლამაციით“ „ნაშრომლო ხევისურითა ორატორია-მუსიკურულითა, სალხინა „მას-გამარჯვებით“, სემინარიალი ობერდენ ორი ძალით“ და სახალხო კომპოზიტორის სახელი მოუხვეჭა, როგორც აქ, ისე ბათუმსა და კავკას გამართულ კონცერტების შემდეგ. მთავრდირსებას ბ-ნი სულხანიშვილის შემოქმედების ნაწიასა შედგენის ის, რომ მის მიერ დამუშავებულ ხალხურ მელოდებში ხალხური კალი და თვისებანი უწვევრვალეს ზომამდეა დტელი. მკვრამ უკვლას ეს მდირეა შედარებით იმ დიად ნამუშავრთან, რომელიც ბ-ნი სულხანიშვილს სადა დაუთავრებია. ეს გასლავთ ობერა „პეტრას კახი“. ი ობერას ატორია კარვას ხინა რც დასტრთის და ამუშავებს, ვით ნაზ-სათუო ქმნიდეას, მაგრამ დღემდის მისგან დამოუკიდებულ მიხეობას გამო ვერ ვამოუხვევებინა.

ახლას კი დანამდევილით კვტეობინებენ, რომ ბ-ნი სულხანიშვილი ამ შემოდგომასზე დასდგავს თბაღისში ობერის პირველ მოქმედებას მთლიანად. როგორც სორბებს, ისე არი-

ებს მწვემისა, ირავლისა და ტურთისა დტანებაში მოჭვავს, თურმე, მსმენელი, რომელიც კერძოთ მოუსმინათ ეს დგეილი. მოსლადრე-ლია ბ-ნი სულხანიშვილი ობერა „პეტრას კახით“ სათვალხინა განდს შეიტანს ჩვენ მუსიკის განვითარებაში. ამისა თავლები ისიც არის, რომ ბ-ნი სულხანიშვილი შეუზოვარი შრომის მოყვრეა, რც ფრიად სასუკეშოა ჩვენთვის.

პარ-ღონი



სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის სსდომები*

როგორც წინა ნომერშიც გვქონდა მოხსენებული, ყრილობა გაიხსნა 8 ივნისს 1914 წ. ქართულ თეატრში დილის 12 1/2 საათზე 175 კაცის თანდასწრებით და მთელი დრო მხოლოდ პრეზიდიუმის არჩევას, კომისიის შედგენას და მისალოც სიტყვებისა და დეპუტების კითხვას მოუნდა.

მეორე დღეს კი, 9 ივნისს, სდამითი უკვე დაიწყო მოხსენებთა კითხვა და კამათი მათ შესახებ. პირველად წაითხულ იქმნა ა. ანდრონიკაშვილის მიერ მისივე მოხსენება „ჩვენი დრამატურგია“ და შალვა დადიანის მიერ „რეპერტუარია“. ამ ამ დღით კამათმა დაიხსნა გასტანა და რეზოლიუციის შედგენა გადაიდა მეორე დღისათვის.

10 ივნისს უკვე 223 წევრი დაესწრო სსდომას. ამ დღესაც უმთავრესად კამათი რეპერტუარის შესახებ იყო და რეზოლიუციის პრაქტიკის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს 11 ივნისისათვის გამოსაცხადებლად. ამავე სსდომასზე ბ. პეტრე მირიანაშვილმა წინადადება შემოიტანა, მანაშილი გადაეხადათ ერთეულ მეუთის დროის სასცენო მოცაწვით სულის მოსახსენებლად ყრილობამ მოაწონა ეს წინადადება და მანდო პრეზიდიუმს მისი გამოწვობა. შემდეგ დრამატურგმა ობერა გედგინაშვილმა წაიკითხა მოხსენება „დრამატურგთა კავშირი“. კამათის შემდეგ ყრილობამ სასუ-

* რადგან განზრახულია, ამ მოკლე ხანში გამოიცეს პირველი ოქმები და მთელი ნაშრომი ყრილობის, ამიტომაც ჩვენ მხოლოდ მცირე ანგარიშს ვაღმომცემთ ყრილობისას დატეხულთ მხოლოდ დადგენილებათ.



რგულად იცნო უჩინოვებულ დრამატურგთა კავშირისა და წარსულს.

11 თვისის გამოცხადდა რეზოლუციის ბრძოლა ბრეზილიის რეპრეზენტაციის შესახებ და ცენტრალური კომისიის მიერ შემუშავებული საკითხები მისი იმისა და წარსულის შესახებ. ამ საკითხის შესახებ რეზოლუციის გამოცხადდა 12 თვისისთვის. შემდეგ ბ. სოფრ. ტარუშვილმა წავიკითხა მოხსენება „დრამატული საზოგადოებათა კავშირი“. ამ მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია და განხილვად გადაეცა საჯარო ბადა მისთვის არჩეულ კომისიის და კიტა აბაშიძის თავმჯდომარეობით. იმე სხდომასზე თ. კიტა აბაშიძემ წავიკითხა მოხსენება „რეგენზია და თეატრალური კრიტიკა“. გამოტანილ იქნა ამის შესახებ რეზოლუციის და მიღებული.

12 თვისის გამოცხადდა რეზოლუციის „ქართული ენის შესახებ“ და შესწორების შემდეგ მიიღო ერთობაშია. აღძრულ იქნა საკითხი ამის შესახებ, რომ ნიკოლაი 2 ანგრის სათაგრო დელეგაციისა და აღნიშნულ იქმეს 1791 წლის საფი, როგორც პირველი ხანა ქართულ თეატრის წარმოშობის. ერთობაშია ამის შესახებ გამოცხადდა სურვილი მომზად 1916 წ. აღნიშნულ იქმნა 12 ანგ. ქართული თეატრის დაწესებულება და 2 ანგრის დაწესებულება დელეგაციისა და აღნიშნულ შემდეგ ბ. ჯ. ფაღვანი წავიკითხა მოხსენება „სახსრები სელაფენების შესახებ“ რეზოლუციის გამოცხადება გადაიღო შემდეგისთვის. ექ. ვახტანგ დამბაშიძემ წავიკითხა მოხსენება „დრამატული კურსების და რსების შესახებ“ და ამის რეზოლუციის გამოცხადებაც გადაიღო.

13 თვისის წავიკითხულ და მიღებულ იქნა რეზოლუცია „სახსრები სელაფენების“ შესახებ. ხოლო დრამატული კურსების შესახებ გამოითქვა სურვილი მისი დაწესებისა და მისი განხორციელება მიერ განსაკუთრებულ კომისიის, რომელთა შექმნის მიზანს ერთობაშია მისი სხდომების დასასრულს უნდა იზიაროს. წავიკითხულ იქნა ბ. არჩ. ჟანაშვილის მიერ მოხსენება „თეატრი სოფლად“. რეზოლუცია იმე სხდომასზე შემუშავდა და მიღებული იქნა. შემდეგ მოხსენება წავიკითხა ბ. ვახტანგის „რევიუსურა“. საკითხი გადაეცა არჩეულ კომისიის განხორციელებ. წავიკითხულ იქნა შალვა დადიანის მიერ

მოხსენება „ზნორეგულირების კავშირისა“ შესახებ. ერთობაშია სასურველად იცნო მისი დაწესება, ხოლო განხორციელება მიანდო თვით მისი იმისა კონსტრუქციის შემდეგ არჩეულ იქნა სპეციალურ კომისიის მიერ შემუშავებული საკითხები მისი იმისა და წარსულის შესახებ. საკითხის გადაეცა. წუწუნავს და ერთობაშია გამოცხადდა სურვილი, რომ მისი იმისა და წარსულად წარსულად იყენებ მოწვეული და დასასრულებლად ეძლეოდნოთ ორი თვე.

14 თვისის ორსული მიღებულია წავიკითხა მოხსენება „სახსრები თეატრისა“ და ერთობაშია მიერ შესთავაზო რეზოლუციის იქნა მიღებული. განსაკუთრებულად კომისიამ ერთობაშია მოახსენა თვისი მისი ბრძენი „დრამატული საზოგადოებათა კავშირისა“ დასასრულად. ერთობაშია ამის განხორციელება მიანდო დრამატული საზოგადოებათა და მისი იმისა და წარსულად მომზად დელეგაციის კრებას ერთობაშია მოახსენა ზრუნველ კომისიის მიერ შემუშავებული საკითხები „სახსრები“ ჯ. ფაღვანი მიერ, „ბენეფიციის“ და თეატრის“ ჯ. ფაღვანი-მუსხიშვილის მიერ. ორთველი კომისიის რედაქციით მიღებულ იქნა შემდეგ ბ. არჩ. ჯანაშვილმა წავიკითხა მოხსენება „სახსრებისა კისის დაწესებისა“. ერთობაშია სურველად იცნო მისი დაწესება, ხოლო განხორციელება მიანდო თ. არჩ. ვახტანგის. ზრუნველ წავიკითხულ იქნა შალვა დადიანის მიერ „სახსრების მოქმედება“.

15 თვისის არჩეულია თუ შემდეგი საკითხები: ანტრეპრიზი, ნორმალური წესები და პირობები, რომელნიც კამათის შემდეგ გადაიღეს პირველ—მომზად ერთობაშიასთვის და მეორე—მომზად დელეგაციის კრებისთვის. არჩეულ იქნა კომისია დრამატული კურსების პირველი და წესების შესამუშავებლად შემდეგ პირველი: ვ. მუსხიშვილი, ვ. დამბაშიძე, ბ. ს. გუგუნიანი, ზ. ფაღვანი. ბრეზილიის მიერ გამოცხადებულ იქნა, რომ მეორე ერთობაშია დაწესდა 1916 წ. ქუთაის და ერთობაშია მიანდო ეს წინადადება. ზრუნველ გამოცხადებულ იქნა, თეატრი ნორმალური დელეგაციის ერთობაშია გამოცხადებულ იქნა იმ ფაქტით, რომელიც ერთობაშია წევრთა გადასახადისაგან შეგროვდა და თუ ეს ფული საჭირო იქნა იქნება, მისი შემოწმება ფინანსით დრამატ. საზოგადოებათ. ერთობაშია

ბამ ეს წინადადება დადასტურა შემდეგ ერთ-
 ლობამ გამოსთქვა თავი ი მწუხარება იმ მოვლე-
 ნის გამო, რომ იმერეთის დედა-ქალაქს ქუთაისს
 აქამდე არაქვს რიგაინი თეატრის შენობა, რომ ს-
 ზოგადთ ხუენს თეატრებში: რ დაიარება შემდე-
 გული ნაწილი ხუენის ხალხია და სსსამთავრო
 მოვალეობად მიანნა სვლამი უდუნანს ფოთს და
 ჭიათურას, ს:ცა განზრახულია ახალი სათეატრო
 შენობის აგება. ამასთანავე ერთლობამ მადლო-
 ბა გადაუსდა ეველას იმ დანესებულებათა თუ
 კერძო პირთ, რომლებიც აგრელებენ სათეატრო
 საქმეს და შესაფერ დახმარებას უჩენენ და პო-
 ლოს ერთობად დავეთვებიანდ მსწავან მგოს-
 ნის აკაცის გრძნობიერი სიტუტრო, რომელმაც
 ერთლობას გაუზიარა თავისა ატრატება, რომ
 სათეატრო საქმე ხუენში ასე გაზრდიდა.

ეს უკანასკნელი სხდომა დასრულდა ნაშუა-
 დღევის 5 საათზე.

დადგენილებანი

სრულიდ საქართველოს სცენის მოღვაწე-
 თა პირველი ყრილობისა

1) რეპერტუარის შესახებ (მოსხენება

შალვა დადიანის):

„რადგანაც თეატრი სახელოვნო დაწესე-
 ბულება არის, ამიტომაც მისი რეპერტუარი
 უნდა შეიცავდეს ხელოვნურ ნაწარმოებს: რო-
 გორც ყოფა-ცხოვრების კომედიას, სოცია-
 ლურ ან ფსიხოლოგიურ განცდათა დრამას,
 აგრეთვე ისტორიულ პიესებსაც

უპირატესობა უნდა მიეცეს ორიგინალურ
 პიესებს. რაიცა შეეხება კლასიკურ ნაწარმო-
 ებთ, მათი რეპერტუარში შეტანა მეტად სა-
 სარგებლოა და საჭირო.

ისტორიული პიესები, რომელიც სავსე-
 ბით მოკლებუნი არიან ხელოვნურ ელფერს,
 სრულებით უნდა განიდევნონ რეპერტუარი-
 დან; ხოლო ის ისტორიული პიესები კი, რომ-
 ელნიც კოკლოზენ, უნდა დაიდგას მხოლოდ
 იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ახალის გზით
 იქმნებიან დადგმულნი და სასცენო განსახიე-
 რება პიესეისა დაფარავს თვით პიესის ნაკლს.

თარგმანებში სასურველია დაიდგას მხო-
 ლოდ საუკეთესო ნიმუშები უცხოელ მწე-
 რალთა შემოქმედებისა.“

2) რეცენზია და თეატრალური კრიტიკა (მოსხენება კიტა აბაშიძისა):

„სასურველია პრესა სიფრთხილით მოეპ-
 ყრას საზოგადოდ თეატრალურ კრიტიკას და
 რეცენზიას და ეცადოს ამ საქმის გაუმჯობე-
 სობისათვის. რეცენზიების წერა-კი დაავალოს
 სპეციალისტ თეატრალურ კრიტიკოსებს.“

3) ქართული ენის შესახებ (მოსხენე- ბა არჩ. ავალიშვილისა):

„ყრილობამ მოისმინა-რა ბ. ავალიშვი-
 ლის მოხსენება და მიაკცია-რა ყურადღება
 მას, რომ ქართული ენა ჩვენს სცენაზე ცულს
 მდგომ-რეობაში ა, გადასწვიტა: ეთხოვოს დრა-
 მატულ საზოგადოებებს მიეცეს ყურადღება
 დრამატულ ნაწარმოებთა ენის სიფაქიზეს და
 მოეთხოვოს არტისტებს ქართული ენის სრუ-
 ლის სიმართლით დაცვა.

ამისთვის ყრილობა, სხვათა შორის, აღ-
 ნიშნავს შემდეგ ღონეს: ა) სცენაზე მიიღე-
 ბოდეს მსახიობი სჯარო გამოცდის შემდეგ
 ქართულის ენისა და ლიტერატურის ცოდნაში.
 ბ) მოეთხოვოს დღევანდელ არტისტებს, რო
 მელთაც დღევქტები აქვთ ქართული ენის ცოდ-
 ნაში, ეს ნაკლი აიშორონ. წინააღმდეგ შემ-
 თხვევაში მათ შესახებ იქმნეს მიღებული სა-
 თანალო ზომები: სახელდობრ შენიშვნები და
 ჯარიმები. გ) სცენაზე და დრამატულ ლიტერ-
 ატურაში ვაბატონებულ უნდა იქმნას ქარ-
 თული ლიტერატურული ენა და განდევნილი
 პროვინციალური ეკოლი, ოუ თვით პიესაში
 ზოგიერთ მოქმედ პირის როლი სავანგებოთ
 არ არის სხვა ეკოლით დაწერილი ავტორის
 მიერ. დ) დრამატულ საზოგადოებებს ეთხო-
 ვოს, არ დართონ ნება წარმოადგინონ ისეთი
 პიესები, რომელთა ენა შესწორებული და
 მოწონებული არ იქმნება სავანგებოთ ამისა-
 თვის მოწვეულ სპეციალისტების მიერ“.

4) ქართული თეატრის დასაბამის შე- სახებ (წინადადება პეტ. მირიანაშვილისა):

ა) „რადგანაც პირველი ქართული წარ-
 მოდგენა გაიმართა ერეკლე მეფის დრო 1791
 წ., ყრილობამ გადასწყვიტა ეთხოვოს თბ.
 დრ. საზოგადოებას მომავალ 1916 წ. გადა-
 იხადოს 125 წლის იუბილე ამ დღესასწაუ-
 ლისა და ეცადოს დასდგას ის პიესა, რომე-
 ლიც მაშინ იყო წარმოდგენილი ე. ი. მევფე



თემურაზი“ ავალიშვილისა. ბ ვინაიდან ჯერ გამორკვეული არ არის დღე პირველის ქართულის წარმოდგენისა, ამისათვის ვიდრე ეს გამოირკვეოდეს, დარჩეს სადღესასწაულოთ ისევ დღე **ორი იანვარისა**, მით უმეტეს, რომ ამ დღეს ჩაიყარა საძირკველი მუდმივი ქართულის თეატრისა“.

5) სასცენო ხელოვნების შესახებ (მოხსენება აკაკი ფაღავასი):

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სცენა შეძლებისდაგვარად ემსახურება თავის დანიშნულებას და წინ-სვლა ეტყობა, დღევანდელი მისი მდგომარეობა მაინც კიდევ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას; ამიტომაც ყოველი ღონისძიება იქმნას მიღებული სასცენო ხელოვნების გასაუმჯობესებლად.

ყრილობა ამ საგნის განსახორციელებლათ საქიროდ სთვლის:

ა) მოწვეულ იქმნას ხოლმე შესაფერისი ნიჭით, გემოვნებით და ცოდნით აღჭურვილი რეჟისორი და მსახიობნი.

ბ) ყოველივე ღონე უნდა იქმნეს მიღებული ქონებრივი მდგომარეობის გასაძლიერებლათ, დრამატიულ საზოგადოებათ და იმ დაწესებულებათა, რომელნიც სათავეში უდგანან ქართული თეატრის საქმეს.

გ) სასცენო მოწყობილება უნდა იქმნეს დაყენებული თანახმად სპეციალისტ რეჟისორის მოთხოვნილებისა

დასასრულ ყრილობას სასიამოვნოდ მიაჩნია, რომ ქართული თეატრი დაადგა განახლების გზას და სურვილს აცხადებს, რომ მუდამ სუფევდეს ცოცხალი სული და მხატვრული ძიება“.

6) დრამატიულ კურსების დაარსების შესახებ (მოხსენება ექ. ვ. დამბაშიძისა):

ა) „სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა მიიღებს მხედველობაში ბან ვ. დამბაშიძის მოხსენებას, საქიროდ სთვლის დრამატიული კურსების დაარსებას ფართო პროგრამით. ამ კურსების პროგრამის პროექტის დამუშავება დაევალოს სპეციალურად არჩეულ კომისიას; ბ) გამოსტეჟამს სურვილის დაუყონებლივ დაარსდეს პრაქტიკული სტუდიები თუ ყველა არსებულ თეატრთან არა, — თბ. დრ. საზ. გამგეობასთან მაინც.

ყრილობა ეგრეთვე სურვილს აცხადებს, რომ დრამატიულ საზოგადოებებმა და წრეებმა ყოველ წარმოდგენიდან გადასდონ არა ნაკლებ ერთის მანეთის მომავალ დრამატიულ კურსების ფონდისთვის და ყველა იმ დაწესებულებათ, რომელნიც ფულსა ხარჯავენ უმაღლეს სმწავლებელში ახალგაზრდობის აღსაზრდელათ, ყურადღება მიაქციონ სცენის მოღვაწეთა აღზრდას“.

7) სოფლის თეატრის შესახებ (მოხსენება არჩ. ჯაჯანაშვილისა):

„სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა ყრილობა სასურველად და სასარგებლოთ სცნობს, რომ არსებულმა დრამატიულმა საზოგადოებებმა, წრეებმა და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზ. განყოფილებებმა ხელი შეუწყონ პროვინციასა და სოფლად თეატრის საქმის განვითარებას. საქიროა შემუშავდეს შესაფერი ტიპი ზოძრავი თეატრისა, ხოლო სადაცეს პრაქტიკულად შესაძლებელი არ იქმნება, ხელი შეუწყონ შესაფერ მუდმივი ბინის შექმნას. გარდა იმ საშუალებისა, რომელსაც საზოგადოებანი და წრეები მიმართავენ ამ მიზნის განსახორციელებლად, ყრილობა სურვილს აცხადებს, რომ ერთი რომელიმე განსაზღვრული დღე სეზონის განმავლობაში გამოაცხადდეს სახალხო დღეთ, როდესაც გაიმართება წარმოდგენები სოფლის თეატრის ფონდის გასაძლიერებლად. აჟას გარდა ყრილობა სურვილს აცხადებს, რომ ქართული თეატრი იმ პროვინციებშიაც განვითარდეს, სადაც ქართველი მამულიანები მოსახლოებენ“.

8) რეჟისურის შესახებ (მოხსენებანი გ. ახარაბაძისა და აკ. ფაღავასი):

ა) „რეჟისორი არის აღჭურვილი საზოგადო და სპეციალურ განათლებით, ხელოვანი შემქმნელი წარმოდგენისა, როგორც მთლიანი მხატვრული ნაწარმოებისა. ბ) სახელი რეჟისორისა უნდა ეწოდებოდეს იმ პირს, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება, ან დაუდგამს რამდენიმე პიესა ხელოვნების მოთხოვნილების minimumi ს დამაკმაყოფილებელი. ვინცობაა რეჟისორობას მოისურვებს ისეთი პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერც ერთ პირობას, იგი უნდა გამოიცადოს სათანადო და ერთი სეზონის მუშაობის შესაფერ-

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

რისი მუშაობის შემდეგ ცნობილ იქმნას რეჟისორად. გ) ანტრეპრიზას რეჟისორთან ისეთი დამოკიდებულება უნდა ექმნეს, რომ რეპერტუარი და დასი შედგენილ იყვეს რეჟისორის თანხმობით. დ) მსახიობი სასცენო მუშაობის დროს სრულიად ექვემდებარება რეჟისორს. ე) რეჟისორის მინიმალური მოთხოვნილებანი პიესის ტენეიკურ მხარის განსახორციელებლად უეჭველად უნდა დაკმაყოფილებულ იქმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეჟისორს უფლება უნდა ეძლეოდეს უსარისკეთეს პიესის დადგმაზე. ამასთანავე ეს პირობა გათვალისწინებული უნდა იქმნას სეზონის დასაწყისს, რეპერტუარის და დასის შედგენის დროს.

აგრეთვე გამოითქვა სურვილი ეთხოვოს თბ. დრ. საზ., რომ დაუყონებლივ შეუდგეს სპეციალურ ბიბლიოთეკის დაარსებას.

9) მსახიობთა ვითარების შესახებ (საგანგებო კომისიის წინადადება — მომხსენებელი ნი ა. წუწუნავე და ა. ფაღავა):

ა) «არც ერთი არტისტი არ იყვეს ამჟამის მიხედვით მოწვეული და ბ) ყველა არტისტი მოწვეულ იქმნას წლ-ურად და დასასვენებლათ მიეცეთ მათ ორი თვე ადგილობრივ პირობების მიხედვით.

10) ბენეფისისა და იუბილეს შესახებ (მომხსენებელი ვლ. ალ-მესხიშვილი):

«რადგანაც დღევანდელი სახე ბენეფისებისა და იუბილესისა შემაფერხებელია ხელოვნებისა, საზოგადო ქართ. სცენის ხელმძღვანელთათვის და შეუაბამო თვით მსახიობთათვის, ყრილობა სურვილს აცხადებს სრულიად მოისპოს იუბილეები ბენეფისების დღევანდელი წესი. სასურველია მხოლოდ აღნიშნულ იქმნას 15, 25 და 40 წლის დღე მსახიობის სამსახურისა: თუ როგორ სახეს მიიღებს ამ დღეთა აღნიშვნა, ეს დამოკიდებული იქნება თანამედროვე პირობებისგან (მსახიობის ნიკი, დამსახურება, სიყვარული და პატივისცემა) ეს სურვილები უსათუოდ უნდა განხორციელდეს

დღესვე დიდ ცენტრებში, ხოლო სხვა ადგილებში შეძლებისდაგვარად დაუახლოვდეს ამ სურვილს, რაც შეიძლება მალე. რადგან ბენეფისი ერთ-გვარი წყაროა ისედაც საკმაოდ არა უზრუნველყოფილ მსახიობთათვის, საქმის მწარმოებელმა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

11) სახალხო თეატრის შესახებ (მომხსენებელი იოსებ იმედაშვილისა):

«სასურველია სათეატრო საქმის მწარმოებელმა განსაკუთრ. თბ. და ქუთაისის, ბათუმისა და დიდ დაბა-სოფლებში მოქმედთა დრ. საზოგ.-ს გამგეობებმა ყურადღება მიაქციონ ყველასათვის ხელმისაწვდომ იაფ-ფასიან წარმოდგენების მართვას. ბ) სასურველია დრამატ. საზოგადოებათ მეტი ყურადღება მიაქციონ სახალხო თეატრის წარმოდგენების მმართველ წრეთ სხვადასხვა გვარის დახმარებით, განსაკუთრებით რეჟისურის მხრით. გ) შემუშავებულ იქმნეს სახალხო თეატრისთვის ერთნაირი რეპერტუარი. დ) სასურველია თბ. დრ. საზ.-მ აღძრას სათანადო შუამდგომლობა, თბილ. ქართული თეატრი გადაკეთებულ იქმნეს ისე, რომ იაფ-ფასიან ადგილების რიცხვი მოემატოს.»

გარდა ამისა ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ:

1) დაარსებულ იქმნეს დრამატურგთა კავშირი;

2) დაარსებულ იქმნეს დრამატიულ საზოგადოებათა კავშირი, რომლის წესდების შედგენა და საქმის მოწყობა მიენდო დღევანდელ კრებას;

3) დაარსებულ იქმნეს პროფესიონალური კავშირი, რომლის მოწყობა თავს იღვან თვით მსახიობთ.

ანტრეპრიზი და ნორმალურ წესის საკითხი გადაიღო მომავალ ყრილობისთვის.

დრამატიულ კურსების მომწყობა კომისიაში არჩეულ იქმნენ: იოსებ გედევანიშვილი, ვლ. ალ.-მესხიშვილი, ექვ. ვ. ლამიაშიძე, მ. ქორელი და ზ. ფალიაშვილი.

„იასონის ოცნებები“

სურნათი მეორე.

(თეიმურაზი პარტერის პირველ რიგშია, იმის

პირდაპირ პარტერსა და სცენას შუა ხილია, რომ ზედ გასვლა შეიძლებოდა. სცენა წარმოადგენს საშუალო ოთახს. გასავალი კარი სამია: შუაზე, მარჯვნივ და მარ-



ცხნით. ძირს ფარდაები აფენია, ერთ მხარეზე ტახტია ხალიჩათა და მუთაქა-ბალიშებით. წინ პატარა მაგიდა, სკამები გაბნეულია. ტახტის ზევით კედელზე ძველი იარაღია ჩამოკიდული. თეიმურაზი იმ დროს უნდა შემოვიდეს კანტარში, როცა ფარდის ახდის დროა და პარტურში უყვებ დაბნელებულია, რომ საზოგადოებამ ვერ შეინიშნოს. მეთრ რიგში იჯანჯ ხის. ქანდარახე მაქსიმე. შემოვა მარცხენა კარიდან ალათი პატარა ცოცხით, ოთახს ალაგებს და წმენდავს. რამოდენიმე წნის შემდეგ იმავე კარიდან შემოვა ოთია. თამაშობან „ბებერ ქმარ“-ს.)

ოთია. ქალბატონი სად არი, ალათი?

ალათი. (თაყვს აზ აიღებს) ტრაპიზონში. რა ვიცი მე სად არი?

ოთია. არა გაცოდინარა ჩემმა გამჩენმა.

რა გულზე ხარ თუ იცი?

ალათი. გული გაგისკდა შენ, გული, ჰოო?

ოთია. რატომ გამისკდა?

ალათი. რატომ და იმიტომ! რას დამდეგ აბა უკან, თვალეები არა გაქ თუ! წადი და მონახე ქალბატონი, თუ გინდა.

ოთია. ერთი ამას უყურეთ! შენც დემერ-თმა შეგარცხინა და შენი უკან მდევნელიც აქ შემევედი, ქალბატონთან საქმე მქონდა შენ დამიხვდი. მორჩა და გათავდა.

ალათი. რა საქმე გქონდა ქალბატონთან?

ოთია. რაი ბეჩა და, უნდა მჭიოთხა: ი ბოვში იძახდა არჩილმა ყანაში შექმნეს თუ ვენახში.

ალათი. (დამიღაოთ) იი, შენ კი გაგინმა ეგ ენა, შენ, ჰოო!

ოთია. (დამიღაოთ) აბა რა უნდა ვკითხო! ყველაფერი მზათ არი და გოკები დავაფიცხო თუ არა ჯერ, არ ვიცი.

ალათი. ჯერ არც ნათლიები მოსულან და არც მღვდელი და რა გეჩქარება გოკების დაფიცება!

ოთია. აგრე მითხარი, შენ კაი ქალო, რა გულზე ხარ რა? თუ ვენახში წამომყვები, მეც კი მოვახერხებ კობტა ბიქის ვაკეთებას (ადიშება)

ალათი. (შეჩურება წელში გამართული, შემდეგ შეაფურთხებს) თფუჰ ისე არა გაქ შენ ნამუსი, რავარც ძალს არა აქ, ძალს (განაგრძობს მილაგებას)

ოთია. ვითომ რატომ არა მაქ ნამუსი შენი ქალბატონი რო ვენახებში დამერება ვა-ცის შესაძენად, რატომ იმას არ ელიციკები

მანგრე?

ალათი. შენი საქმე არ არის.

ოთია. აბა რა არის ჩემი საქმე?

ალათი. (ცოცხს უღერებს) იქით გამეცა-ლლე, თვარა დღეთს წყალობა მომეცა, მე შენ დღეს!

ოთია. თუ მოვასწავი ვენახში, მე ვიცი, რაც არის ჩემი საქმე!

ალათი. მანამდე არა შექამარა შენმა ღრანკება.

ოთია. აჰა, აღდომა და ხვალა.

ალათი. გაგიწყრა აღდომის მადლი, რაც შენ ვერა გამიხედო-რა ვერც ვენახში და ვერც სხვაგან.

ოთია. მართლა ალათი, მართლა!

ალათი. მართლა!

ოთია. (გულში სეფს ირტყამს) ვაი, დე-დიჩემის შეილი არა ვყოფილვარ, თუ არ მო-გაგონე ეგ სიტყვები თუ აქამდინ ნამუსი შე-გინახე, იმიტომ რომ, რავარც ჩემ საცოლეს ისე გიყურებდი.

ალათი. (დამიღაოთ) მანამდე არ ადგა შე-ნი გვერდები, რავარც მე შენ ცოლათ არ წა-მოგყვე.

ოთია. აჰ, წამომყვები კი არა! ვისგან თქმულა! ვნახო რო მესვეწებოდე კიდევ.

ალათი. (დადინჯებათ) როგორ არა! კი-სერზე ჩამოგეკიდები, შენ ა სიცოცხლემ. შე-ნისთანა ცხვირ მოუზოცელი რომ ქმრათ მლო-მებოდა, აქამდინ ათჯერ გავთხოვდებოდი. (მარჯვენა კანიდან შემოყავა ქეთუფანი)

ქეთუფანი. აქ რას აკეთებ ბიჭო! მზათ გაქ ყველაფერი?

ოთია. მზათ გახლავს, ქალბატონო, მა-რა გოკები არ დამიფიცებუა ჯერ.

ქეთუფ. რაღას უყურებ, აწი მოვლიან საცა არის. (ოთია მარჯვენა კანათ გადის) ალა-თი, შენ წადი ახლა და ნელა-ნელა სუფრის გაშლას შეუდექი. (აღათი მარჯვენათ გადის) დემერთო, თუ ჩემი ბებერი ქმარი მალე ჩაღძვა, სრულებით ბედნიერი ვიქნები, სრულებით. მე და ჩემ არჩილს მაშინ ველარაფერი ვეღარ დავაშოშებს, ველარაფერი. (შუა კანიდან შე-მოყავა აღმასხანი) იიჰ, შამოჩოჩილადა ბებერი; საცა წავალ, უკან უნდა დამედევნოს უთუოთ.

აღმასხანი. სადახარ, ჩემო მარგალიტა;

სტუმრები თანდათან მოგროვდნენ ეზოში.

ქეთევ. მე ათასი საქმე მაქვს და სტუმრებს უნდა უნდა დაუხვედ, — რას მიკეთებ?

ალმას. მე ჩემ ჰატარა ბიჭუნიასთან ვიყავი. (დამაფით) როგორც მთვარე, ისე გამოიყურებოდა აკვანში. ჰატარა — დავუძახე „მეტაა“. შემომიქოპონა.

ე. კაშიანი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

წვრილი ამბები

სასოფლოვანი

➔ **ახალი პიხას** — „ცხოვრების ტალა“, 2 მოქ., — დასწერა ე. სათაშვილმა. გვისურათებს სოფლის ინტელექტუალური ცხოვრებას.

➔ **ბათუმის დრამ. საზ-ამ** საბოლოოდ გადასწყვიტა მომავალ 1914—15 წ.წ. სეზონში დასი იყოლოდ. დასისათვის საჭირო მსახიობთა მოსაწყვედ თბილისს ჩამოვიდა ბათუმის დრამ. საზ. გამ-ის თავმჯდომარე ივ. სიმ. მესხი. ბ-მა მესხმა უკვე მოილაპარაკა ზოგიერთ მსახიობებთან და ჯერჯერობით მიწვეული არიან: რეჟისორად — ე. ანდრონიკაშვილი — მის თანაშემწედ — ალ. გუგუშვილი. მსახიობებად: ქ-ნი გ. ქილარჯიშვილი, ნ. გამრეკელ-თორელი, ე. ცინკაურიძე, ა. ჩარკვიანი; ბ-ნი: ნ. გვარამი, ი. ყვიციანი, ნ. მურტუველი, ნ. ჩაგუნავა, სარელი. მოლაპარაკება მ. მდივანთან და გ. იშხენლთან.

➔ **ალ. ქალაპატიშვილი**, ქართული თეატრის მსახიობი, ამ ზაფხულის სეზონში ზონს მიიწვიეს რეჟისორად, რომელიც უკვე გაემგზავრა და თვის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

➔ **შალვა დადიანი** საზაფხულოდ კახეთს — ბაკურციხეს გაემგზავრა; როგორც შეეიტყეთ, ელიობას თელავს იწვევენ ილია ჭავჭავაძის საღამოში მონაწილეობის მოსაძებად.

➔ **დანამდვილებით შვიტყაით**, რომ მომავალ 1914—15 წ.წ. სეზონში დრამატული დასები იქნება ქ. თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ბაქსა და კიანთურაში.

➔ **ბიათის სახალხო თეატრის** რეჟისორად მომავალ 1914—15 წ.წ. სეზონისთვის მიწვეულია თბილ. ქართ. დრამ. დასის მსახიობი ივ. ბარევილი. დასში მიწვეულია ჯერჯერობით: ქ-ნი ოლა ლეკავა, ო. ლობჯინიძე; ბ-ნი — ე. მაჭარაძე, შ. ხონელი; სუფლიორად — გ. გურული. სეზონი I ენციანსთიდან — I ენისამდეა.

➔ **დრამატურგი ი. გაღვანის** შვილი გეთობეს გამოავახდა, რომ მის ნება-დაურთველად აკრძალულია „სინათლე“-ს, „მსხვერპლ“-ს, „გამტეხი“-ს და „ოჯახი“-ს სცენაზე დადგმა.

➔ **მსახიობი ვ. მახარაძის** სასტრუქტორული ალავიოდან ანდრიასავან მივიღეთ 4 მ. და 50 კ. ალავიოდან ქართული სცენის მოყვარეთა ერთ ნაწილში შეგროვილი. შემოსწირვის თითო მანათი — ილ. ლობჯინიძე, ილ. გუგუშვილი და ა. კალანდარიშვილი; ათათი შატრი ნ. ლობჯინიძე, ს. ჭეიშვილი და ო. ლობჯინიძე. ფული დანიშნულებისამებრ გარდაეცა.

➔ **მიხილეთ „საქვის ნაწილი“** — ლექსები კრებული — დარია ახვლედიანისა, პეტროს სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, 56 გვ. ფ. 20 კ.

➔ **„საშურის უზასო სამკითხველოს“** სასტრუქტორული და მოკლე ხანში წარმოდგენა გაიმართება.

➔ **დ. საშურის ვ. ჯავახიშვილის** სათაქრთა შენობაში 22 ენისს ადგილობრივმა სცენის მოყვარებმა წარმოდგინეს ნ. შუიკაშვილის პიესა „მეგობრობა“. ხალხი ბლომად დაესწრო. დაწერილობით შემდეგ.

➔ **ივ. მახვი**, ბათუმის დრ. საზ. გამ. თავმჯდომარე, გუშინწინ ბათუმს გაემგზავრა.

რუსთა შორის

➔ **„მეშურ შიხათა“** — წარმოდგენა, როგორც ეუწყით, ნებადართული არ არის, სამაგიეროდ შეიძლება პიესის სცენაზე კითხვა, რაიცა უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე და საზოგადოებას ეტანება. მადაგასხილმა სათაქრთო საქმის მწარმოებლებმა მონიშნეს განსაკუთრებული ყურადღების მოპოვება, რომ საკუთრად ესარგებლნათ. მაგრამ ეს არ მოხერხდა. პიესა სცენაზე შეუძლიან წაიკითხოს ვცლამა, ვისაც ექნება მისი უაღვსუტესი ავტორის ნებადართვა.

➔ **სათეატრო სკოლას** ხსნიან შემოდგომიდან მოსკოვში მსახიობები ი. ვ. ვასილივიცისა და პეტრა და საზხალხო თეატრების რეჟისორად ნამყოფი ნ. ა. პაპოვი. სკოლაში განსაკუთრებით პრაქტიკულ მეტადინობას ექნება მიქცეული ყურადღება.

➔ **პირველი საზაფხულო თეატრის** დაფუძნება განუზრახავთ მოსკოვში. რეპერტუარი განსაკუთრებით ზღაპრულ პიესებიდან იქნება შედგენილი, დიდი ყურადღება ექნება მიქცეული მატერულ მხარეს.

➔ **„მუშათა თეატრის“ საზოგადოება** და ფუნდა პეტერბურგში, რომლის მიზანია მუშათათვის ჰმართის წარმოდგენები, ლექსები, საუბრები, სამუსიკო-სალიტერატურო დილა-საღამოები, ექსკურსიები და კონცერტები, სასცენო ზელოვნების კურსები, შედგინოს მგალობელთა გუნდნი, დრამატული დასნი და სხ.

უცხოთა შორის

➔ **ბარდანიცვალ მიმინებულთა თეატრის** დამფუძნებელ-შემქმნელი ჰერკოვი გიორგი II საქსენ-შეინინგელი, დაბადებულია 88 წ. შეინინგელთა თეატრის აღორძინად და გაიფურქნა გერმანიაში 70-80-იან წლებში და მთელს ევროპაში დიდი სახელი მოიხვეჭა. სათეატრო საქმეში ახალი მიმართულების შემოღებით (უმთავრესად ანსამბლის შექმნით). ამ თეატრში ერთ დროს მონაწილეობდნენ სახელგანთქმული მსახიობნი როდუდგ ბარანი, პოსარტი და სხ. მოსკოვის სამხატვრო თეატრი მისი გავლენით შეიქმნა. დაწერილობით შემდეგ.